



იურიდიული დახმარების საბჭო

№ 33

„27“ „იანვარი“ 2016 წ.

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის სტრატეგია დანართის შესაბამისად.
2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე:

ეკატერინე ფოფხაძე

თავმჯდომარის მოადგილე:

ნათუნა ფურელიანი

საბჭოს წევრები:

ელზა ლემკაშვილი

ზონდლო ალასანია

ილია ჭანტურაია

ზაქრო გვიშიანი

ნათია ჩირიკაშვილი

Ընթացք	Նպատակը, կարևորագույն Վճարումները	Նպատակը, կարևորագույն Վճարումները	Նպատակը, կարևորագույն Վճարումները	Նպատակը, կարևորագույն Վճարումները	Նպատակը, կարևորագույն Վճարումները	Նպատակը, կարևորագույն Վճարումները	Նպատակը, կարևորագույն Վճարումները	Նպատակը, կարևորագույն Վճարումները	Նպատակը, կարևորագույն Վճարումները	Նպատակը, կարևորագույն Վճարումները
<p>Ընթացք 4.2.2 Ընթացք 4.2.3</p>	<p>Մեր օրինակ Սահմանափակ Հատուկ օրինակ</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.2.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.2.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.2.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.2.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.2.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.2.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.2.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.2.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.2.3</p>
<p>Ընթացք 4.2.1 Ընթացք 4.2.2 Ընթացք 4.2.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.2.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.2.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.2.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.2.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.2.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.2.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.2.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.2.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.2.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.2.3</p>
<p>Ընթացք 4.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.3</p>	<p>Սահմանափակ Ընթացք 4.3</p>

თავი 5. იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმის სტრატეგია

შესავალი

იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმის პრიორიტეტები

საქართველოში იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა 2005 წლიდან დაიწყო და მისი იმპლემენტაცია ეტაპობრივად მიმდინარეობს. 2005-2007 წლებში განხორციელდა სამართლებრივი დახმარების ახალი მოდელის პილოტირება, რომლის შედეგებზე დაყრდნობით, 2007 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“. შედეგად, იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იურიდიული დახმარების სამსახური (შემდგომ - სამსახური).

იურიდიული დახმარების პირველი ბიუროები 2005 წელს თბილისსა და ზესტაფონში, პილოტური პროექტის ფარგლებში გაიხსნა. 2007 წელს იურიდიული დახმარების ბიუროები ამოქმედდა მცხეთაში, თელავში, რუსთავში, გორში, ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთსა და ბათუმში. 2008 წელს უკვე არსებულ ოფისებს დაემატა 2 საკონსულტაციო ცენტრი ოზურგეთსა და ამბროლაურში.

2009-2014 წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის შემდგომი ზრდის მიმართულებით. კერძოდ, 6 ოფისი გაიხსნა ეთნიკური უმცირესობებით და დევნილებით დასახლებულ, ასევე მაღალმთიან რეგიონებში (ახალციხე, ახალქალაქი, წალკა, მარნეული, მესტია, საჩხერე).

2011 წლიდან სამსახურის მანდატი მოიცავს პატიმართა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების საქმეებს, ასევე იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც ადმინისტრაციული სახდელის სახით ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებს. 2014 წელს „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად გაფართოვდა სამსახურის მანდატი, კერძოდ 2015 წლის 1 იანვრიდან საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურება ხელმისაწვდომი გახდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის განხორციელების შემთხვევებში და, ასევე, 2015 წლის 15 აპრილიდან საადვოკატო წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების გარკვეულ კატეგორიებზე.

2013 წლის დეკემბერში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად სამსახურის სამართლებრივი სტატუსი შეიცვალა და ის პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ, დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდა, რამაც შექმნა დამატებითი გარანტიები სამსახურში დასაქმებული ადვოკატების პროფესიული დამოუკიდებლობისათვის.

იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმას 4 ძირითადი მიზანი აქვს: სამსახურის დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა და საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება.

5.1. სამსახურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა

2013 წლის დეკემბერში „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე სამსახურმა აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, რომელიც ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე. 2014 წლის იანვარში სამსახურის გამჭვირვალობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნა სამსახურის მართვის კოლეგიური ორგანო – იურიდიული დახმარების საბჭო¹. 2014 წლის 24 თებერვალს საბჭომ აირჩია სამსახურის დირექტორი 5 წლის ვადით.

სამსახურის სტაბილური განვითარებისათვის, კანონმდებლობით გარანტირებულ ინსტიტუციურ დამოუკიდებლობასთან ერთად, აუცილებელია მყარი ფინანსური გარანტიების შექმნა, რაც მზარდი საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებშია შესაძლებელი. ამასთან, სამსახურისათვის ფინანსური გარანტიების მოპოვების პროცესში, მნიშვნელოვანია იურიდიული დახმარების საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის აქტიური მონაწილეობა. ამგვარი კოორდინირებული ძალისხმევის შედეგად, 2015-2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განისაზღვრა იურიდიული დახმარების სამსახურის დაფინანსების ზრდა: 2015 წელს 51.7%-ით, 2016 წელს კი 28.8%-ით. საბიუჯეტო დაფინანსების ზრდის ტენდენცია უნდა გაგრძელდეს შემდგომ წლებშიც, სამსახურის მანდატის გაფართოების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ სამსახურისთვის დამატებითი ფინანსურის გარანტიები უზრუნველყოფილია საბიუჯეტო კოდექსში 2014 წლის დეკემბერში შესული ცვლილებებით, რომელთა მიხედვითაც, სამსახურის საბიუჯეტო ასიგნებების შემცირება შესაძლებელია მხოლოდ იურიდიული დახმარების საბჭოს თანხმობით.

¹საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“, მუხლი 10.

სამსახურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და სტაბილური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების სისტემის სხვა მონაწილეებთან აქტიური თანამშრომლობა, რაც ხელს შეუწყობს იურიდიული დახმარების სისტემის სრულყოფას. ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უკავია სასამართლო ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობას და კონსულტაციების გამართვას სხვადასხვა საკითხზე.

5.2. იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

სამსახურის ბენეფიციართა საჭიროებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, შემდეგი ღონისძიებების გზით:

5.2.1 იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაზრდა

სოციალურად დაუცველ პირთათვის უფასო იურიდიული დახმარების სრული ხელმისაწვდომობა სამსახურის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. მისი მიღწევა შესაძლებელია სამსახურის მანდატის ეტაპობრივი გაფართოებით. „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2015 წლის 15 აპრილიდან სამსახური წარმომადგენლობას განახორციელებს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განსაზღვრულ კატეგორიებზე². სამსახური გადახდისუუნარო პირისათვის უზრუნველყოფს სამართლებრივი დოკუმენტების შედგენას სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, ხოლო სასამართლოში წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია, თუ პირი გადახდისუუნაროა და ეს მიზანშეწონილია საქმის მნიშვნელობიდან და სირთულიდან გამომდინარე.³ იურიდიული დახმარების საბჭო უფლებამოსილია 2015 წლის 15 აპრილიდან 2018 წლის 1 იანვრამდე სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში დამატებით განსაზღვროს ის საკითხები, რომელიც იურიდიული დახმარების შესახებ კანონით არ არის განსაზღვრული და რომლებთან დაკავშირებით სამსახურმა უნდა უზრუნველყოს საადვოკატო მომსახურება პირის გადახდისუუნარობისა და საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით. იურიდიული დახმარების საბჭო ასევე უფლებამოსილია განსაზღვროს კრიტერიუმები, რომელთა გათვალისწინებით სამსახურის დირექტორს იღებს გადაწყვეტილებას იურიდიული დახმარების იმ პირისათვის გაწევის შესახებ, რომელიც არ არის რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.⁴

² საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“, მუხ. 23¹. 2014 წლის 26 დეკემბრის ცვლილება.

³ საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“; მუხლი 5; პუნქტი 2 და 2¹

⁴ საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“; მუხლი 5; პუნქტი 2 და მუხლი 11 პუნქტი „ე“

სამსახური 2016 წლის 1 იანვრიდან განახორციელებს გადახდისუუნარო პირების წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოში.⁵ გარდა ამისა, 2016 წლის 1 იანვრიდან სასამართლოში წარმომადგენლობა უზრუნველყოფილი იქნება იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც სასამართლო განიხილავს თავშესაფრის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების, შეჩერების ან შეწყვეტის საკითხებს. 2017 წლიდან სავალეულო დაცვის ფარგლებში, იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილი იქნება ტუბერკულოზით დაავადებულ პირთათვის, რომელთა მიმართაც სასამართლო განიხილავს იძულებითი იზოლაციის საკითხს.

სამსახურმა, საბჭომ და საქართველოს ხელისუფლებამ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რომ ეტაპობრივად მოხდეს უფასო იურიდიული დახმარების მიწოდება სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების ყველა კატეგორიაზე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით სამსახურმა უნდა უზრუნველყოს როგორც სისხლის სამართლის საქმეებზე კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი პირების დაცვა. აღნიშნულის მისაღწევად, სამსახურს დამატებით დასჭირდება ახალი კადრები. ასევე განხორციელდება რეესტრის ადვოკატთა ბაზის გაფართოება და მათი ანაზღაურების ფონდის გაზრდა.

გარდა ამისა, სამსახური განახორციელებს მხარდაჭერის მიმღებ და თავშესაფრის მაძიებელ პირთა უფლებების დაცვას, რისთვისაც ასევე აუცილებელია დამატებითი საკადრო რესურსების მობილიზება.

5.2.2 ტერიტორიული დაფარვა და დისტანციური მომსახურება

სამსახურის სტრატეგიული ამოცანაა რეგიონული ცენტრებიდან დაშორებულ ტერიტორიულ ერთეულებში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა. აღნიშნულის მისაღწევად, იურიდიული დახმარების საბჭო და სამსახური ერთობლივად შეიმუშავენ იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდის სქემას. ამ პროცესში მნიშვნელოვანია უფასო იურიდიული დახმარების მიმწოდებელი სხვა ორგანიზაციების ჩართვაც.

სამსახური ეტაპობრივად განახორციელებს ყველა ოფისის ინფრასტრუქტურის გამართვას და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვას იმისათვის, რომ პირს, რომელიც სამსახურს დახმარებისათვის მიმართავს, შესაბამისი გარემო დახვდეს, ხოლო ყველა თანამშრომელს ჰქონდეს სათანადო სამუშაო პირობები თავის ფუნქციათა ჯეროვნად შესრულებისათვის.

⁵ საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“; მუხლი 26; პუნქტი 4

იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სამსახური გამოიყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს და დანერგავს დისტანციურ მომსახურებას. კერძოდ, წინასწარ შემუშავებული კონცეფციის საფუძველზე, მოხდება სატელეფონო და ონლაინ კონსულტაციების ერთიანი გამართული სისტემის ჩამოყალიბება.

სამსახური აგრეთვე აქტიურად ითანამშრომლებს სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, რათა მათი ინფრასტრუქტურის გამოყენებით, იურიდიული კონსულტაციის გაწევა მოხდეს იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც სამსახურს საკუთარი წარმომადგენლობა არ გააჩნია. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობა, რათა იურიდიული კონსულტაციის მიწოდება აღნიშნული სააგენტოს საზოგადოებრივ ცენტრების მეშვეობით განხორციელდეს.

5.2.3 რეფერალური სისტემა და უფასო იურიდიული დახმარების სხვა მიმწოდებლებთან თანამშრომლობა

2014-2015 წლებში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა შემდეგ ორგანიზაციებთან: საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაცია, იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრი, “ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი”, საქართველოს გაეროს ასოციაცია.

იურიდიული დახმარების სამსახური განაგრძობს თანამშრომლობას სამართლებრივი დახმარების მიმწოდებელ სხვა ორგანიზაციებთან, იურიდიული დახმარების სრული ხელმისაწვდომობისა და ეფექტიანი რეფერალური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით.

5.2.3 რეფერალური სისტემა და უფასო იურიდიული დახმარების სხვა მიმწოდებლებთან თანამშრომლობა

2014-2015 წლებში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახური, არეესტრის ადვოკატთა სიების განახლებასთან დაკავშირებით მჭიდროდ ითანამშრომლებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან და განახლებს მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრს სამოქალაქო სპეციალიზაციის მქონე ადვოკატებით. დაიცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, საქართველოს გაეროს ასოციაცია.

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, დაიხვეწება საქმის წარმოების ფორმები, ასევე ყოველწლიურად ჩატარდება ტრენინგ საჭიროებათა კვლევა, რომლის საფუძველზე, დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, დაიგეგმება შესაბამისი სემინარები, ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები.

5.2.4 მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფა

სამსახური, რეესტრის ადვოკატთა სიების განახლებასთან დაკავშირებით მჭიდროდ ითანამშრომლებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან და განახლებს მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრს სამოქალაქო სპეციალიზაციის მქონე ადვოკატებით.

5.3. მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა

5.3.1. იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა

2014 წლის 17 დეკემბერს, სამსახურმა სისხლის სამართლის საქმეზე მომუშავე საზოგადოებრივი ადვოკატებისთვის საქმიანობის სახელმძღვანელო წესები დაამტკიცა, რაც ხელს შეუწყობს კვალიფიციური და დროული იურიდიული მომსახურების გაწევას სამსახურის ბიუროების და მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული საზოგადოებრივი ადვოკატების და სამსახურის სტაჟიორების მიერ.

სამსახურის სტრატეგიული ამოცანაა მისი ადვოკატების მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი. ამ მიზნით, 2015 წელს იურიდიული დახმარების საბჭომ დაამტკიცა „გაწეული იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების კრიტერიუმები და წესი“, რომლის ამოქმედებაც 2016 წელს იგეგმება.

სამსახური დაიწყებს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე შეფასების სისტემის შემუშავებას მას შემდეგ რაც 2015 წლის ბოლომდე დააკვირდება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე წარმომადგენლობის განხორციელების პროცესს.

5.3.2 იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზაცია

2014-2015 წლებში იურიდიული დახმარების ბიუროების ადვოკატებმა და რეესტრში რეგისტრირებულმა ადვოკატებმა წარმატებით გაიარეს სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში. სპეციალიზაციის ფარგლებში, ადვოკატებმა გაიარეს მოსამზადებელი კურსი, რომელიც მოიცავდა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა დაცვის, ასევე არასრულწლოვან დაზარალებულებსა და მოწმეებთან მოპყრობის საკითხებს. 2015 წლის ბოლოს, სამსახურის დირექტორის ბრძანებით, შეიქმნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატების მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელშიც 53 ბიუროს ადვოკატი და 55 რეესტრის ადვოკატი შევიდა.

სამსახური, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად, განაგრძობს ადვოკატთა სპეციალიზაციის პროცესს და გაზრდის სპეციალიზებული ადვოკატების, მათ შორის, რეესტრის ადვოკატების რაოდენობას. გარდა ამისა, არანაკლებ წელიწადში ერთხელ, სპეციალიზებული ადვოკატები განაზოგადებენ არასრულწლოვანთა საქმეებზე გამოვლენილ პრაქტიკას და საკუთარ მოსაზრებებს გაუზიარებენ მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩართულ სხვა მხარეებს (პროკურორებს, მოსამართლეებს, სამოქალაქო სექტორს და სხვ.).

5.3.3 მენეჯმენტის სისტემის გამართვა

მენეჯმენტის სრულყოფის მიზნით, გაგრძელდება სამსახურში დანერგილი ელექტრონული პროგრამების სრულყოფა, ასევე განხორციელდება სამსახურის სტრუქტურის ოპტიმიზაცია.

სამსახურში დანერგილია დოკუმენტბრუნვის ერთიანი პროგრამა, ასევე საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა სისხლის სამართლის საქმეებისათვის. სამსახურის მანდატის გაფართოების შესაბამისად, დაინერგება პროგრამის განახლებული ვერსია სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეებისათვის.

სამსახურის სტატუსის ცვლილებისა და მანდატის გაფართოების შესაბამისად, საჭიროა, განხორციელდეს სამსახურის სტრუქტურის ოპტიმიზაცია. სამსახურის სტრუქტურის წინაშე არსებული განვითარების შესაძლებლობებიდან და სამსახურის სტრატეგიული პრიორიტეტებიდან გამომდინარე, სამსახურმა 2014 წლის დეკემბერში დაიწყო მუშაობა ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარების პროექტზე. პროექტი მიზნად ისახავს ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარებას ისე, რომ ის მაქსიმალურად ეხმარებოდეს სამსახურს ორგანიზაციული მიზნებისა და სტრატეგიის განხორციელებაში, ასევე, თანამშრომლებს თავისი უნარებისა და კომპეტენციების სათანადოდ რეალიზებაში.

ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავების პროცესში, სამსახური დახვეწავს და დანერგავს თანამშრომელთა შეფასებისა და წახალისების სისტემას. გარდა ამისა, სამსახური გააგრძელებს იურიდიული კლინიკის პროგრამას, შეიმუშავებს და დანერგავს სტაჟირების წესს.

5.3.4 თანამშრომელთა მუდმივი პროფესიული გადამზადება

მომსახურების ხარისხისა და განგრძობადი იურიდიული განათლების მიზნებისათვის, სამსახურის ამოცანაა უზრუნველყოს საზოგადოებრივ ადვოკატთა მუდმივი პროფესიული გადამზადება საკანონმდებლო სიახლეებისა და ადვოკატთა სასწავლო საჭიროებების გათვალისწინებით. განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, სამსახური გააგრძელებს თანამშრომლობას საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრთან, სხვა სასწავლო დაწესებულებებთან.

სამსახურის მანდატის გაფართოების გათვალისწინებით, 2015 წელს და მომდევნო წლებში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადვოკატთა სწავლებას სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის აქტუალური საკითხების მიმართულებით.

თანამშრომელთა სასწავლო საჭიროებების გათვალისწინებით, ყოველწლიურად შედგება განახლებადი სასწავლო გეგმები, განხორციელდება ტრენინგების შედეგების შეფასება და ანალიზი. სამსახური შეიმუშავებს სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამას, რომელიც შეიცავს

საზოგადოებრივ ადვოკატთა მიერ გავლილი ტრენინგების მონაცემთა ერთიან ბაზას. გარდა ამისა, ახალი თანამშრომლებისთვის ჩატარდება საორიენტაციო ტრენინგები.

სამსახური ხელს შეუწყობს იურიდიული დახმარების ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების ბიბლიოთეკების განახლებას.

5.4. საზოგადოების ინფორმირებულობა

იურიდიული დახმარებით სარგებლობის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, განხორციელდება საზოგადოების მუდმივი ინფორმირება სამსახურის საქმიანობის, მიმდინარე რეფორმებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ამ თვალსაზრისით, მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურის ვებგვერდზე მუდმივად იქნება უზრუნველყოფილი შემდეგი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: სამსახურის ფინანსური ანგარიშები, სხვადასხვა სახის სტატისტიკური მონაცემები, ინფორმაცია სამსახურში არსებული ყველა პროცედურისა და მიმდინარე პროცესის შესახებ.

სამსახური ითანამშრომლებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და, მათგან და მოსახლეობისგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები სხვადასხვა რეგიონებში განახორციელებენ თემატურ საინფორმაციო შეხვედრებს. საინფორმაციო შეხვედრები შეიძლება გაიმართოს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უფლებები; კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების უფლებები; საკუთრების რეგისტრაციის საკითხები; პენსიისა და სოციალური დახმარების საკითხები; ტყით სარგებლობის, ასევე ნადირობისა და თევზჭერის წესები;

გაძლიერდება თანამშრომლობა სხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აგრეთვე საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. გარდა ამისა, სამსახური თავისი საქმიანობის შესახებ მოსახლეობას მიაწვდის ინფორმაციას ცენტრალური თუ რეგიონული მედიასაშუალებების გამოყენებით.